

ბახვი ჰესი

ჩვენ ვხრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბახმაროს ცენტრალური ქუჩა ენერგოეფექტური ლედ განათების სისტემით განათდა



ფოტო: ზაპარია ჭელიძე

ლედ განათების სისტემა ბახვი ჰესის და USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის პირველი, ერთობლივი პროექტია, რომელიც წარმატებით განხორციელდა ბახმაროში.



პროექტი 2022 წლის 1 ივლისს დაიწყო და საკმაოდ სწრაფი ტემპით დასრულდა. დამონტაჟდა და ენერგოეფექტური LED განათების სისტემით აღიჭურვა 128 ცალი ახალი ზოძი. ელექტროსადენები განთავსდა მიწის ქვეშ.

სამონტაჟო სამუშაოები ანარგონა შპს გურიის ბიზნეს ჯგუფმა O1. პროექტზე, ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის თანახმად, დასაქმებული იყო 8 ადგილობრივი მუშახელი. კერძოდ, სოფელ ჩხაკაურას მკვიდრები.

ბახვაროს ცენტრალური ქუჩა ენერგოეფექტური ლედ განათების სისტემით განათდა



ფოტო: ზაპარია ჭელიძე

პროექტის ფარგლებში განათდა ბახვაროს დასახლებული ნაწილი, კერძოდ, სატყეო და აჭარის ქუჩები. ლამპიონები სატატსტო რეჟიმში 19 აგვისტოს განათდა. საზეიმო სახის ანთება კი 22 აგვისტოს განხორციელდა. განათებას ესწრებოდნენ როგორც ბახვი ჰესის და USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის წარმომადგენლები, ასევე ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერი, დავით შარაშიძე.



გაიმართა პროექტის მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმოწერის ცერემონიალიც. ერთის მხრივ დოკუმენტს ხელი მოაწერეს USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის უფროსმა ალექსეი სანკონსკიმ და ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა და მეორეს მხრივ, ბახვი ჰესის დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შარაშიძემ.



კურორტი ბახვაროს ცენტრალური ქუჩის განათება ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის ნაწილია, რომლის ფარგლებშიც კომპანია დაპირდა მოსახლეობას ბახვაროს განათების სისტემის დამონტაჟებას. აღნიშნული პროექტი, ბახვი ჰესმა პარტნიორ ორგანიზაციასთან, USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამასთან ერთად განახორციელა.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!
კომპანია ბახვი ჰესის გუნდი მუდმივად დიალოგის რეჟიმშია ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ეს საინფორმაციო გამოცემაც სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს. ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავიგოთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.
მთხოვთ, გაგიზიაროთ კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@bakhvi.com.ge
ენციემ ჩვენს კორპორატიულ ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბახვი ჰესის შესახებ.
ბახვი ჰესის მენეჯმენტი